



## მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა

### პროგრამის სახელწოდება

ლოგისტიკა
Logistics

### ფაკულტეტი

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი
Transportation and Mechanical Engineering Faculty

### პროგრამის ხელმძღვანელი

პროფესორი რეზო თედორაძე
-------------------------

### მისანიჭებელი კვალიფიკაცია

სატრანსპორტო ლოჯისტიკის მაგისტრი <i>მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 120 კრედიტის შესრულების შემთხვევაში</i>
--

### სწავლების ენა

ქართული
---------

### პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

<p>მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები). გამოცდების საკითხები/ტესტები განთავსდება სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის ვებგვერდზე <a href="http://gtu.ge/Study-Dep/">http://gtu.ge/Study-Dep/</a> გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე. პროგრამაზე ჩაირიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.</p>
--

### პროგრამის აღწერა

<p>მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ლოგისტიკა“ შექმნილია დარგის სპეციფიკისა და სიახლეების, უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილებებზე დაყრდნობითა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.</p> <p>მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ლოგისტიკა“ პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით, 1 კრედიტი შეადგენს 25 საათს, რომელშიც იგულისხმება, როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. პროგრამა გრძელდება 2 წელი (4 სემესტრი) და მოიცავს 120 კრედიტს.</p>
--

სტუდენტმა მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „ლოგისტიკა“ ფარგლებში სატრანსპორტო ლოჯისტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებისთვის უნდა დააგროვოს არანაკლებ 120 კრედიტი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და ძირითადი კვალიფიკაციისთვის საჭირო შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეორე საფეხურის (მაგისტრატურის) აღმწერის დონით.

კრედიტების განაწილება წარმოდგენილია სასწავლო გეგმაში.

საგანმანათლებლო პროგრამა ივალისწინებს, როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი სასწავლო კურსებისთვის განსაზღვრულ კრედიტებს.

საგანმანათლებლო პროგრამაში კომპონენტების თანაფარდობა შემდეგი სახითაა წარმოდგენილი:

სასწავლო კომპონენტი – 75 კრედიტი;

კვლევითი კომპონენტი – 45 კრედიტი.

სასწავლო კომპონენტი წარმოდგენილია შემდეგი თანაფარდობის სახით:

საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო სასწავლო კურსებს – 20 კრედიტი;

სპეციალობასთან დაკავშირებული საერთო ტექნიკურ სასწავლო კურსებს – 20 კრედიტი;

არჩევითი სამაგისტრო თემატიკის სასწავლო კურსები, რომელიც მოიცავს 4 თემატიკის მიხედვით დაჯგუფებულ სასწავლო კურსებს – თვითოეული 40 კრედიტის მოცულობით.

კვლევითი კომპონენტი წარმოდგენილია შემდეგი თანაფარდობით:

სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი – 5 კრედიტი;

თეორიული /ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქიუმი – 10 კრედიტი;

სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა – 30 კრედიტი.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულებაში მაგისტრატურის შესახებ და მის დანართებში მოცემულია ინფორმაცია სასწავლო პროცესის ორგანიზების, სტუდენტთა მიღწევების შეფასების, სტუდენტებთან სასწავლო და საფინანსო ხელშეკრულებების, სტუდენტის მიერ კრედიტების დაგროვების, სამაგისტრო ნაშრომისადმი წაყენებული მოთხოვნების, კვლევითი კომპონენტის შეფასების შესახებ და სხვ. (იხ. [http://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/mag\\_debuleba\\_2017\\_SD.pdf](http://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/mag_debuleba_2017_SD.pdf))

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „ლოგისტიკა“ სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსები დალაგებულია ლოგიკური თანმიმდევრობით.

სასწავლო გეგმაში მოცემულია ინფორმაცია სასწავლო კურსების დაშვების წინაპირობების შესახებ.

- პირველი წლის სასწავლო პროცესში 10 კრედიტი ეთმობა საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო სასწავლო კურსების, 45 კრედიტი სპეციალობასთან დაკავშირებული საერთო სასწავლო კურსების, და 5 კრედიტი სამაგისტრო კვლევის პროექტის/პროსპექტუსს მომზადებას;
- მეორე წლის სასწავლო პროცესში 20 კრედიტი არჩევითი სამაგისტრო თემატიკის სასწავლო კურსების ათვისებას, 10 კრედიტი თეორიული /ექსპერიმენტული კვლევის/კოლოქიუმის მომზადებას და 30 კრედიტი სამაგისტრო ნაშრომის დასრულებასა და დაცვას.

პროგრამა განხორციელდება ქართულ ენაზე.

## პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზნებს წარმოადგენს:

- ლოგისტიკის მნიშვნელობისა და ლოგისტიკის ძირითადი პრინციპების შესწავლა;
- სტუდენტებისთვის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ლოგისტიკური პროცესების ანალიზის, ლოგისტიკური პრობლემების იდენტიფიცირების და მათი გადაჭრის გზების მოძიების

უნარის განვითარება;

- ლოგისტიკური პროცესების ოპტიმიზაციის უნარის განვითარება, რომელიც მოიცავს ლოგისტიკური ჯაჭვის სხვადასხვა კომპონენტების დეტალურ ანალიზს სხვადასხვა ინდუსტრიაში. ასევე მოიცავს ლოგისტიკური დანახარჯების ანალიზს და ოპტიმიზაციის ღონისძიებების დაგეგმვასა და იმპლემენტაციას;

- ლოგისტიკის, როგორც კომპანიების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილის განვითარება, რომელიც საშუალებას მისცემს სტუდენტებს შემდგომში ჩამოაყალიბონ კომპანიების გრძელვადიანი ლოგისტიკური სტრატეგია, დაგეგმონ და მართონ სადისტრიბუციო ქსელები, სასაწყობო მარაგები, მულტიმოდალური გადაზიდვები, მიიღონ ლოგისტიკურ ინფრასტრუქტურის დაგეგმარებასა და იმპლემენტაციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები;

- ლოგისტიკაში არსებული თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ავტომატიზირებული სისტემების ძირითადი საფუძვლებისა და მათი ეფექტური გამოყენების შესწავლა. პროცესების ოპტიმიზაციის შესაძლებლობების გაცნობა აღნიშნული სისტემების მეშვეობით. საწარმოს რესურსების დაგეგმარების სისტემისა და მისი ლოგისტიკური მოდულების შესწავლა;

სტუდენტების მომზადება კარიერული შესაძლებლობებისათვის, რომელიც დაკავშირებულია მაღალ მენეჯერულ პოზიციებთან ტრანსპორტის, ლოგისტიკის, წარმოებისა თუ მომსახურების სფეროებში.

### სწავლის შედეგები და კომპეტენტურობები (ზოგადი და დარგობრივი)

- **ცოდნა და გაცნობიერება:** – აქვს სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს;

- ტრანსპორტის, ლოგისტიკის, წარმოებისა და მომსახურების სხვადასხვა სფეროებში კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ეფექტური ტექნოლოგიების ცოდნა და გაცნობიერება;

- ლოგისტიკური სისტემების, პროცესებისა და ოპერირების დაგეგმარებისა და მართვის მეთოდების ცოდნა;

- ლოგისტიკური პროცესების ოპტიმიზაციასთან, ლოგისტიკური სისტემის დაგეგმარებასა და ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის კონფიგურაციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისთვის საჭირო ძირითადი პრინციპებისა და მეთოდების ცოდნა და გაცნობიერება

- **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:** – ტრანსპორტის, ლოგისტიკის, წარმოებისა და მომსახურების სხვადასხვა სფეროებში კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ეფექტური გზების ძიება, მათ შორის, კვლევებისა და პროცესების ანალიზის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით. ლოგისტიკური სისტემების, პროცესებისა და ოპერირების დაგეგმარებისა და მართვის უნარი;

- მონაცემების ინტერპრეტაციის, მიზნებისა და კრიტერიუმების ჩამოყალიბების უნარი. ლოგისტიკური პროცესების ოპტიმიზაციასთან, ლოგისტიკური სისტემის დაგეგმარებასა და ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის კონფიგურაციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების ძირითადი პრინციპებისა და მეთოდების გამოყენების უნარი;

- დასახული მიზნების მისაღწევად მთავარი საკითხების (კომპონენტების) გამოყოფის, შესაბამისი დროითი ჩარჩოების დადგენისა და სამუშაოთა შესრულების გრაფიკების შედგენის უნარი, ლოგისტიკური სისტემის, მარაგებისა და ლოგისტიკური ქსელების დაგეგმარების უნარი ;

- სამუშაო მიზნების მისაღწევად ლოგისტიკაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ავტომატიზირებული სისტემების რესურსების ეფექტურად გამოყენების უნარი. ლოგისტიკური მოდულების ეფექტური ინტეგრაციის უნარი საწარმოს რესურსების დაგეგმარების სისტემაში;

- **დასკვნის უნარი:** – ლოგისტიკური სისტემებისა და ქსელების, ლოგისტიკური ოპერაციების წარმოებისა და მართვის, ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის ფუნქციონირებისა და ლოგისტიკის კონტროლინგის სისტემების ეფექტურობის შეფასება;

- გუნდური გადაწყვეტილებების შემუშავებაში მონაწილეობის, ინიციატივისა და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების გამოვლენის უნარი.

- ანალიტიკური და ლოგიკური აზროვნების, ლოგისტიკური პროცესების დეტალური ანალიზის, მიწოდების ჯაჭვის კომპონენტების ანალიზის, ახალი ინფორმაციის მიღების და დამუშავების შედეგებზე დაყრდნობით ინოვაციური სინთეზის უნარი;

-**კომუნიკაციის უნარი** – თავისი დასკვნების, არგუმენტირებული მსჯელობის, კვლევის მეთოდების და მიღებული შედეგების სრულყოფილად და გასაგებად წარმოჩინების უნარი აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე;

-**სწავლის უნარი** – სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე. პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების გამდიდრების მიზნით, საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა;

-**ღირებულებები** – ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა. პროფესიული ღირებულებების, ეთიკისა და მორალის მიღებული ნორმების დაცვა.

### სწავლის შედეგების მიღწევის ფორმები და მეთოდები

ლექცია     სემინარი (ჯგუფში მუშაობა)     პრაქტიკული     ლაბორატორიული  
 პრაქტიკა     საკურსო სამუშაო/პროექტი     დამოუკიდებელი მუშაობა     სამაგისტრო ნაშრომი

- ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი.** ემყარება ლექციას, თხრობას, საუბარს და სხვ. აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ.
- წერითი მუშაობის მეთოდი** – რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და სხვ.
- ახსნა-განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პედაგოგს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.
- დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მოვაწოდოთ სტუდენტებს.
- დისკუსია/დებატები** - ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი გავრცელებული მეთოდი. დისკუსიის პროცესი ამალღებს სტუდენტის მონაწილეობას სწავლის პროცესში და ასევე მის აქტივობის ხარისხს. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს დებატებში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგიკური საკითხებით. ის სტუდენტებს უვითარებს განსჯისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.
- პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია** – პროექტზე მუშაობისას სტუდენტი რეალური პრობლემის გადასაჭრელად იყენებს შემეხილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. პროექტით სწავლება ამალღებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებლად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად, კორექტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ფარგლებში ან რამდენიმე საგნის ფარგლებში (საგანთა ინტეგრაცია); დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას.
- სინთეზის მეთოდი** გულისხმობს ცალკეული ლოგისტიკური საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანი სისტემის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს ლოგისტიკური პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის

განვითარებას.

- 8. ანალიზის მეთოდი** გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთულილოგისტიკური პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

### სტუდენტის ცოდნის შეფასება

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელმაც შუალედურ შეფასებაში გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (დააგროვა არანაკლებ 30 ქულისა) და აგრეთვე, შეასრულა და დროულად ჩააბარა სასწავლო კურსის პროგრამით განსაზღვრული სილაბუსის დოკუმენტური მასალა (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შუასემესტრული გამოცდის, დოკუმენტური მასალის ჩაბარებისა და დასკვნითი/დამატებითი გამოცდების ვადების შესახებ მითითებული იქნება რექტორის ბრძანებაში სემესტრის ჩატარების განრიგის შესახებ.

შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულაა 60, მათ შორის:

ა) მიმდინარე აქტივობის შეფასება-მაქსიმალური ქულაა 30, მინიმალური ჯამური შეფასება-15 ქულა;

ბ) შუასემესტრული გამოცდის მაქსიმალური ქულაა 30, მინიმალური შეფასება-15 ქულა;

დასკვნითი/დამატებითი გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა 40 ქულა, კომპეტენციის მინიმალური ზღვარის დამადასტურებელი დადებითი შეფასებაა 20 ქულა.

51 და მეტი ქულის დაგროვებისას, მაგრამ დასკვნით გამოცდაზე კომპეტენციის მინიმალური ზღვარის ვერ გადალახვის შემთხვევაში, ისევე როგორც FX-ის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს აქვს დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. დასკვნით და დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 5 დღისა.

- სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების (დაგროვების) შემთხვევაში, ან თუ სტუდენტი ვერ გადალახავს დასკვნით/დამატებით გამოცდაზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

### დასაქმების სფერო

სატრანსპორტო და ლოგისტიკური კომპანიები, ინფრასტრუქტურის მართვის კომპანიები: პორტები, ინტერმოდალური ტერმინალები, ლოგისტიკური ცენტრები, სასაწყობო მეურნეობები, სავაჭრო კომპანიები, სხვა სახის ორგანიზაციები, რომლებიც ყიდულობენ ან ქმნიან სატრანსპორტო და ლოგისტიკურ სერვისს.

## სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები

### პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თანდართულ დოკუმენტებში (დანართი 1-სილაბუსები, დანართი 2– პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი, დანართი 3 – პროგრამის მატერიალური რესურსი, დანართი 4- ხელშეკრულებები).

თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 18

პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი			
			I წელი		II წელი	
			სემესტრი			
			I	II	III	IV
1	ბიზნეს კომუნიკაცია(ინგლისური)	არ აქვს	5			
	ბიზნეს კომუნიკაცია(ფრანგული)					
	ბიზნეს კომუნიკაცია(გერმანული)					
	ბიზნეს კომუნიკაცია(რუსული)					
2	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური)	არ აქვს	5			
	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული)					
	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (გერმანული)					
	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (რუსული)					
3	წარმოების მართვა და ოპტიმიზაცია	არ აქვს	7			
4	ტრანსპორტის ეკონომიკა	არ აქვს	5			
5	მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტი	არ აქვს	7			
6	ტელემატიკის სისტემები	არ აქვს	6			
7	საზღვაო და საჰაერო ლოგისტიკა	ტრანსპორტის ეკონომიკა		5		
8	სატრანსპორტო ლოგისტიკა	ტრანსპორტის ეკონომიკა		5		
9	დისტრიბუციისა და საწყობის მენეჯმენტი	წარმოების მართვა და ოპტიმიზაცია		5		
10.	საერთაშორისო ტრანსპორტისა და ვაჭრობის რეგულაციები	ტრანსპორტის ეკონომიკა		5		
11.	მულტიმოდალური სატრანსპორტო ლოგისტიკური ცენტრები	სატრანსპორტო ლოგისტიკა			8	

12.	სამაგისტრო პრაქტიკა	სატრანსპორტო ლოგისტიკა			12	
			სემესტრში	30	25	20
			სულ:			
<b>კვლევითი კომპონენტი:</b>						
1	სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი	არ აქვს			5	
2	თეორიული /ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი	სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროს პექტუსი				10
3	სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა	წინამდებარე პროგრამით გათვალისწინე ბული ყველა სასწავლო და კვლევითი კომპონენტი				30
			სულ სემესტრში:	30	30	30
			სულ წელიწადში:	60		60

**სწავლის შედეგების რუკა**

№	საგანი	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1	ბიზნეს კომუნიკაცია (ინგლისური)	x	x		x	x	x
	ბიზნეს კომუნიკაცია (ფრანგული)	x	x		x	x	x
	ბიზნეს კომუნიკაცია (გერმანული)	x	x		x	x	x
	ბიზნეს კომუნიკაცია (რუსული)	x	x		x	x	x
2	დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური)	x	x	x	x		
	დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული)	x	x	x	x		
	დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა (გერმანული)	x	x	x	x	x	
	დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა (რუსული)	x	x	x	x		x
3	წარმოების მართვა და ოპტიმიზაცია	x	x	x			x
4	ტრანსპორტის ეკონომიკა	x	x	x		x	
5	მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტი	x	x	x	x		
6	ტელემატიკის სისტემები	x	x	x		x	

7	საზღვაო და საპორტო ლოგისტიკა	x	x	x		x	
8	სატრანსპორტო ლოგისტიკა	x	x	x		x	
9	დისტრიბუციისა და საწყობის მენეჯმენტი	x	x	x		x	
10	საერთაშორისო ტრანსპორტისა და ვაჭრობის რეგულაციები	x	x	x			x
11	მულტიმოდალური სატრანსპორტო ლოგისტიკური ცენტრები	x	x	x	x		
12	სამაგისტრო პრაქტიკა	x	x	x	x	x	x
<b>კვლევითი კომპონენტი:</b>							
13	სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი	x	x	x	x	x	x
14	თეორიული /ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკვიუმი	x	x	x	x	x	x
15	სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა	x	x	x	x	x	x

**პროგრამის სასწავლო გეგმა**

№	საგნის კოდი	საგანი	ESTS კრედიტი/საათი	საათი									
				ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო სამუშაო/პროექტი	შუასემესტრული გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა	
1	LEH12412G1	ბიზნეს კომუნიკაცია (ინგლისური)	5/125			45					2	2	76
	LEH12212G1	ბიზნეს კომუნიკაცია (ფრანგული)	5/125			45					2	2	76
	LEH12612G1	ბიზნეს კომუნიკაცია (გერმანული)	5/125			45					2	2	76
	LEH12812G1	ბიზნეს კომუნიკაცია (რუსული)	5/125			45					2	2	76
	LEH12512G1	დარგობრივი ტექსტის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური)	5/125	15		30					2	2	76
2	LEH12312G1	დარგობრივი ტექსტის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული)	5/125	15		30					2	2	76
	LEH12712G1	დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა (გერმანული)	5/125	15		30					2	2	76
	LEH12912G1	დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა (რუსული)	5/125	15		30					2	2	76
3	MAP25005G1	წარმოების მართვა და ოპტიმიზაცია	7/175	30	30						1	1	113
4	SOS58005G1	ტრანსპორტის ეკონომიკა	5/125	15	30						1	1	78
5	BUA79605G1	მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტი	7/175	30	30						1	1	113
6	EET50705G1	ტელემატიკის სისტემები	6/150	30		30					1	1	88
7	EET93505G2	საზღვაო და საპორტო ლოგისტიკა	5/125	15	30						1	1	88
8	TRS12005G1	სატრანსპორტო ლოგისტიკა	5/125	15		30					1	1	88
9	BUA79505G1	დისტრიბუციისა და საწყობის მენეჯმენტი	5/125	15	30						1	1	88
10	TRS12305G1	საერთაშორისო ტრანსპორტისა და ვაჭრობის რეგულაციები	5/125	15	30						1	1	88



11	TRS12405G1	მულტიმოდალური სატრანსპორტო ლოგისტიკური ცენტრები	8/200	30	45					1	1	123
12	TRS12605G1	სამაგისტრო პრაქტიკა	12/300					200		2	2	96

პროგრამის ხელმძღვანელი

რეზო თედორაძე

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის  
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

მანანა მოისწრაფიშვილი

ფაკულტეტის დეკანი

ოთარ გელაშვილი

**შეთანხმებულია**

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

ირმა ინაშვილი

**მიღებულია**

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის  
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე  
12 იანვარი ოქმი N1 2012 წელი

**მოდიფიცირებულია**

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის  
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე ოქმი N4,  
30 მარტი, 2018 წელი  
ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

ოთარ გელაშვილი